„ევროკავშირის როლი სამშვიდობო მისიებში: თანამშრომლობისა და განდგომის დილემა“

ლიკა ილურიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ევროპისმცოდნეობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

ევროპისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: სერგი კაპანაძე,პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ლიკა ილურიძე

25/06/2021

შენიშვნა: *პლაგიატის თავიდან აცილების მიზნით, უნდა აღინიშნოს, რომ ნაშრომის გარკვეული ნაწილი გამოყენებულია აკადემიური წერისა და კვლევის დიზაინის ფარგლებში.*

აბსტრაქტი

ევროკავშირის ჩართულობა უსაფრთხოების საკითხებში გაიზარდა „საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ჩამოყალიბებით“(CFSP). ევროკავშირი გაეროს შეთავაზების საფუძველზე რიგ შემთხვევაში ერთვება სამშვიდობო მისიაში, მაგრამ ცალკეულ შემთხვევებში განდგომის პოზიციას არჩევს. შესაბამისად, ნაშრომში შესწავლილი იქნება ევროკავშირის ცვალებადი დამოკიდებულება სამშვიდობო მისიების მიმართ და გამოიკვეთება ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ გადაწყვეტილების მიღებაზე კონკრეტულ მისიასთან დაკავშირებით.

ნაშრომში დასმული მთავარი საკვლევი კითხვაა: **რატომ იცვლის ევროკავშირი დამოკიდებულებას სამშვიდობო მისიებში მონაწილეობის მიმართ?** განვითარებულია ჰიპოთეზა-როდესაც თანამშრომლობიდან მომდინარე პოტენციური სარგებელი კლებულობს და იზრდება დანახარჯი ევროკავშირის წევრი ზესახელმწიფოებისათვის, ისინი არჩევენ განდგომის პოზიციას. კვლევის შედეგებმა დაადასტურა ჰიპოთეზა, რადგან გამოიკვეთა, რომ ორგანიზაციის ცვალებადი დამოკიდებულების განაპირობებელი მთავარი ფაქტორია მისიიდან მომდინარე პოტენციური სარგებლის თავსებადობა წევრი ზეხელმწიფოების ეროვნულ ინტერესებთან, რომლებიც დომინირებულია ევროკავშირის საერთო ინტერესებზე.

კვლევის მიზნის განსახორციელებლად ნაშრომი იყენებს თვისებრივი კვლევის მეთოდებს-საკითხის შესწავლას, შედარებით ანალიზს, სამაგიდო კვლევას, ნახევრადსტრუქტურირებულ ინტერვიუსა და ინტერვიუების დისკურსის ანალიზს. აღნიშნული მეთოდები ორიენტირებულია საკითხის სიღრმისეულ შესწავლასა და მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენაზე. მიმოხილულია პირველადი და მეორეული წყაროები. გამომწვევი ფაქტორების კომპლექსურობიდან გამომდინარე, საკითხი ახსნილი იქნება საერთაშორისო ურთიერთობების კონკრეტული თეორიების ფარგლებში.

საკვანძო სიტყვები

ევროკავშირი, სამშვიდობო მისიები, გაერო, თანამშრომლობა, განდგომა, საერთო საგარეო და თავდაცვის პოლიტიკა, ზესახელმწიფოების ეროვნული ინტერესები.

Abstract

EU involvement in security issues has been enhanced by the Common Foreign and Security Policy (CFSP). The European Union is involved in a peacekeeping mission in a number of cases on the basis of a UN offer, but in some cases chooses to back off. Accordingly, the paper will examine the changing attitudes of the EU towards peacekeeping missions and identify the factors that influence decision-making.

The main research question posed in the paper is: Why does the EU have a changing attitude when participating in peacekeeping missions? Hypothesis is developed — when the potential benefits of cooperation decrease and spending increases for EU superpowers, they choose a position of apostasy. The results of the study confirmed the hypothesis, as it turned out that the main factor determining the changing dependence of the organization is the compatibility of the potential benefits of the mission with the national interests of the member states, which are dominated by the common interests of the EU.

To achieve the purpose of the research, the paper uses qualitative research methods — case study, comparative analysis, desk research, semi-structured interview, and interview discourse analysis. These methods are focused on in-depth study of the issue and establishing cause-and-effect relationships. Primary and secondary sources are reviewed.

Keywords

EU, peacekeeping missions, UN, cooperation, apostasy, common foreign and defense policy, national interests of superpowers.